პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

სიდა
ჩვენ ● ვაკავშირებთ

G-PAM
ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | თებერვალი 2015 წ.

ბიულეტენი#7

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, 2013 წლის აპრილიდან ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM). წინამდებარე ბიულეტენის თემას წარმოადგენს მიგრაციის სფეროში ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების მიმოხილვა. „სიდა“-ს მიერ ჩატარდა კვლევა.კვლევის მიზანი იყო გამოვლინა ის ძირითადი მიღწევები და წინ გადადგმული ნაბიჯები, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარდა მიგრაციის სფეროში და აღმოჩენილიყო ის პრობლემები, რამაც ხელი შეუშალა საქართველოს მიგრაციის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გაწერილი საქმიანობების შესრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა ის ძირითადი სფეროები, რაზეც მომავალში უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტები, რათა დაწყებული პროცესი უფრო კორდინირებული და შედეგზე ორიენტირებული გახდეს. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა როგორც სახელმწიფო სტრუქტურის, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

მიგრაცია

სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)

არსებული მდგომარეობა

საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის გასაუმჯობესებლად პირველი ნაბიჯები 2010 წელს გადაიდგა, როდესაც ჩამოყალიბდა ინსტიტუციური მექანიზმი - მიგრაციის სამთავრობო კომისიის სახით. კომისიის საქმიანობის პირველი ხელშესახები შედეგი გახდა 2013 წლის 15 მარტს დამტკიცებული საქართველოს მიგრაციის 2013-2015 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (მოგვიანებით დამტკიცდა). ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკას და ადგენს ქვეყნაში მიგრაციის მართვის ფორმატს და მიმართულებებს. მიგრაციის სტრატეგიის მიზანია: „მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, არალეგალურ მიგრაციასა და ტრეფიკინგთან ბრძოლას, მიგრანტთა უფლებებისა და მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას და მიგრაციის დადებითი ეფექტის გამოყენებას ქვეყნის განვითარებისათვის“. 2012 წლის ოქტომბერში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა მიგრაციის სამთავრობო კომისიის სამდივნო. სამდინოს ჩამოყალიბების ერთადერთი მიზანი იყო კომისიის საქმიანობის გაძლიერება, როგორც ტექნიკური ასევე ანალიტიკური თვალსაზრისით. ბოლო ორი წლის განმავლობაში მიგრაციის სფეროს მართვის თვალსაზრისით გადადგმულმა ნაბიჯებმა გავლენა იქონიეს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გადმოცემის პროცესზე. ვიზა ლიბერალიზაციის ოთხი ბლოკიდან, ერთ-ერთი სწორედ მიგრაცია/თავშესაფრის თემასთანაა დაკავშირებული. იმ ფაქტმა, რომ საქართველოს უკვე გააჩნდა მიგრაციის მართვის ინსტიტუციური მექანიზმი და ჰქონდა მიგრაციის მართვის ხედვა, დააჩქარა პროცესი და შედეგად, 2013 წლის 25 თებერვალს საქართველომ უკვე ოფიციალურად მიიღო ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა. მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების მიზნით შემუშავდა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გატარებულ იქნა რამდენიმე ღონისძიება, კერძოდ: ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ასევე კანონში შეტანილ რამდენიმე ცვლილებასთან მიმართებაში შემოღებული იქნა საშეღავათო პირობები, კანონი, როგორც სამართლებრივი, ისე იმპლემენტაციის თვალსაზრისით, პრობლემური აღმოჩნდა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ კანონი თავიდანვე კრიტიკულად შეფასდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ მისმა ამოქმედებამ პრობლემა შეუქმნა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსულ სტუდენტებს, ბიზნესმენებს, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ პირებს. 2014 წლის 01 სექტემბრიდან ძალაში შევიდა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია. 2014 წლის ბოლოდან მთავრობის მხრიდან დაიწყო მუშაობა შრომითი მიგრაციის კანონპროექტზე.

პოზიტიური ცვლილებები

• 2014 წლის 17 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვათ 7 საერთაშორისო (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა (EU Delegation), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა (UNHCR), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)) და 5 არასამთავრობო (ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი, მიგრაციის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს გაეროს ასოციაცია, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)) ორგანიზაციას. კომისიის სხდომები ამ მიდგომით უფრო საჯარო გახდა და არასახელმწიფო მოთამაშეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა გახდა შესაძლებელი;

- მიგრაციის სფეროში არსებული პროექტების მართვის გაუმჯობესებას ემსახურება მიგრაციის კომისიის სამდივნო. სამდივნომ შექმნა საერთო პლათფორმა, სადაც გაერთიანდნენ როგორც

სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. პლათფორმა იკრიბება წელიწადში ორჯერ ინფორმაციის გაზიარების მიზნით. შეიქმნა მიგრაციის სფეროში პროექტების მატრიცა;

- საქართველოს მიგრაციის კომისიის სამდივნოს ფარგლებში შეიქმნა მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი ქართულ ენაზე, რომელიც ემსახურება მიგრაციის თემაზე ქართული ტერმინოლოგიური ბაზის ორგანიზებას;
- მიგრაციის სამთავრობო კომისიის სამდივნოს მიერ შემუშავდა უნივერსალური დოკუმენტი, მიგრაციის მეგზური, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, როგორც პოტენციური ემიგრანტებისთვის, ასევე იმიგრანტებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია ყველა იმ უწყებაში, ვინც პასუხისმგებელია მიგრაციის სფეროზე.
- 2014 წელს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი კომისიის სამდივნოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, რომლის ფარგლებშიც მუშავდება მიგრაციის სახელმძღვანელო, სახელმძღვანელო გამიზნული იქნება სტუდენტებისთვის სალექციო მასალად;
- საქართველო აქტიურად ჩაერთო მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებში, რომლებიც მიზნად ისახავენ მოწესრიგებული მიგრაციისათვის განვითარებული და მდგრადი სისტემის შექმნას (ბუდაპეშტის პროცესი), მიგრაციის სფეროში მონაწილე მხარეების თანამშრომლობის გაღრმავებას (პრაღის პროცესი), ევროკავშირის აღმოსავლეთის მიმართულებით დაკავშირებულ გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებას და მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით კოორდინაციის ამაღლების ხელშეწყობას (მიგრაციისა და თავშესაფრის პანელი) და მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის მოწესრიგებას პრაქტიკული და ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდებით (მიგრაციისა და განვითარების გლობალური ფორუმი);
- მნიშვნელოვანია მიგრაციის ახალი ინიციატივების წახალისება, როგორიცაა მაგალითად, საქართველოსა და გერმანიის საერთო ინიციატივა ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობის შესახებ, რომელიც 2013 წლის დასაწყისში დაიწყო;
- 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რომელიც განსაკუთრებული ვნებათაღელვის ფონზე მოხდა და მიუხედავად საბოლოო ვერსიის კრიტიკისა, მაინც მნიშვნელოვან ფაქტად შეფასდა. ამ კანონის მიღება ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო.
- 2014 წლის 8 ოქტომბერს თბილისში არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი გაიხსნა, რომელიც საქართველოში უკანონოდ მყოფ 80 პირზეა გათვლილი;
- 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად 400 000 ლარი გამოიყო. აღნიშნულ პროექტს განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.
- 2014 წლის იანვარში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება. აღნიშნულ განყოფილებაში ხორციელდება წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და განახლება. ასევე 2014 წლიდან ე.წ. ჯანდაცვის „ვერტიკალურ“ პროგრამაში ჩაერთვნენ ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

მიგრაციის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები

- მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის სფეროში საინფორმაციო კამპანიის სამოქმედო გეგმა მიგრაციის სამთავრობო კომისიასთან ერთად შემუშავდა, არასამთავრობო სექტორის ჩართულობით და ხორციელდებოდა ამ მიმართულებით რიგი ღონისძიებები, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მაინც სახეზეა საქართველოს მოქალაქეების არაინფორმირებული მიგრაცია, რაც ტრეფიკინგის რისკებს აძლიერებს. პრობლემურია ისიც, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტების ინფორმირებულობის დონე დაბალია. მათ არ იციან, დახმარებისთვის ვის შეუძლიათ მიმართონ;
- 2014 წლის 1 სექტემბრის უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონით გამოწვეული ძირითადი პრობლემები:
    - ➢ ხდება კანონის არათანმიმდევრული და რიგ შემთხვევებში, დისკრიმინაციული გამოყენება;
    - ➢ დარგობრივი სამინისტროების მიერ განხორციელებული რამდენიმე საინფორმაციო აქტივობის მიუხედავად, პრაქტიკამ აჩვენა, რომ უცხოელებს არ ჰქონდათ სათანადო ცოდნა ცვლილებების შესახებ, რამაც ისინი სამართლებრივი ვაკუუმში მოაქცია;
    - ➢ მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სახლის მიერ შეიქმნა სპეციალური სივრცე სადაც უცხოელებს ემსახურებიან და იქ მომუშავე ოპერატორებს ჩაუტარდათ ტრენინგები უცხოელთა კანონთან დაკავშირებით, პრაქტიკაში უცხოელთა მომსახურება პრობლემური აღმოჩნდა. უცხოელების მიერ დოკუმენტაციის წარდგენისას, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები განსახვავებულ ინფორმაციას აწვდიდნენ, რაც ინფორმაციისა და კოორდინაციის ნაკლებობით იყო გამოწვეული;
    - ➢ პრობლემური აღმოჩნდა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რასაც ვიზებსა და ბინადრობებზე დიდი რაოდენობის უარყოფითი პასუხების არსებობა ადასტურებს;
    - ➢ კანონის ამოქმედებამ გავლენა იქონია ქვეყნით ინვესტორების დაინტერესებაზე.
- პრობლემურია ლეგალური შრომითი მიგრაციის ამოქმედება, როგორც საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დასაქმების, ისე უცხოელთა საქართველოში დასაქმების უზრუნველსაყოფად;
- საქართველოს შეთანხმებული აქვს შეთანხმების ტექსტი საფრანგეთთან ცირკულარული მიგრაციის შესახებ, რომელიც სამწუხაროდ უკვე წლებია არ მტკიცდება არც საქართველოს, არც საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოების მიერ.
- არ მუშაობს საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმა უცხოელთა იძულებითი დაბრუნების (გაძევება)შესახებ;
- სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ არის ლეგალურად მყოფ უცხოელთა სრულყოფილი ინტეგრაციისთვის საქართველოში.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, მოხდეს 2013-2015 წლის საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება წინასწარ შემუშავებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით. შედეგები საფუძვლად უნდა დაედოს 2016-2018 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
- სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მიგრანტების რეინტეგრაციის პროგრამაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების განვითარება;
- სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ მიგრანტ/სუბიექტზე მორგებული სარეინტეგრაციო პროგრამის შემუშავება;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტების როლის გაძლიერება ქართველ ემიგრანტთა კონსულტირების, ისე მათ ინფორმირებაში რეინტეგრაციის და ეკონომიკური პროგრამების შესახებ;
- მიგრაციის სფეროში არსებული კანონმდებლობის ცვლილებების განხორციელება იმპლემენტაციის სფეროში გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით;
- მიგრაციის სახელმწიფო საინფორმაციო კამპანიის კოორდინაციის გაძლიერება სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის. კამპანიის ინფორმაციის მარტივ ენაზე და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- შრომითი ატაშეს შტატის დამატების საკითხის განხილვა (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ქართველ ემიგრანტთა უმეტესი ნაწილი იმყოფება) საკონსულო დეპარტამენტებში, რომელიც შეისწავლის კონკრეტული ქვეყნის შრომით ბაზარს და მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას ქართველ ემიგრანტებს და დაინტერესებულ პირებს;
- მოხდეს მიგრაციის სფეროში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, პროფკავშირების და სახალხო დამცველის როლისა და შესაძლებლობების გაძლიერება და მათი რესურსის უკეთ გამოყენება მიგრაციის სფეროში.

ინტერვიუ

ინტერვიუ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს აღმასრულებელ მდივანთან, ბ/ნ გიორგი ჯაშთან

კითხვა: თუ შეიძლება, რომ გაგვიკეთოთ მოკლე მიმოხილვა ბოლო ორი წლის განმავლობაში მიგრაციის სფეროში განვითარებულ მოვლენებზე.

პასუხი:მიგრაციის სფეროში უკანასკნელ წლებში მიმდინარე საკითხებზე საუბრისას აუცილებელია მიმოვიხილოთ, თუ როგორ ვითარდებოდა მიგრაციული პროცესები ქვეყანაში. პირველი რეალური ნაბიჯი მიგრაციული პოლიტიკის დასარეგულირებლად გადაიდგა 2010 წელს, როდესაც ჩამოყალიბდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. მისი მიზანი იყო ერთიანი პლატფორმის შექმნა, სადაც ყველა ის უწყება გაერთიანდებოდა, რომლის საქმიანობაც,პირდაპირ, თუ ირიბად უკავშირდებოდა მიგრაციულ პროცესებს;ასევე იმსჯელებდა და მიიღებდა საერთო გადაწყვეტილებებს სხვადასხვა თემატურ საკითხებთან დაკავშირებით. უკვე 2012 წლისთვის კომისიის ფარგლებში ევროკავშირის დახმარებით მომზადდა 2013-2015 წლების სტრატეგია. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკას და ადგენს იმ ჩარჩოებს, რაშიც უნდა იმოქმედოს ქვეყანამ, როგორც ადგილობრივი , ასევე საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილშიც. შედარებისთვის, პირველი ასეთი ტიპის დოკუმენტი შემუშავდა 1997 წელს, რომელიც წარდგენილი იყო მთავრობაში, თუმცა პრაქტიკაში არ განხორციელებულა, ვინაიდან , ვინაიდან არ არსებობდა ისეთ მიმართულებები როგორებიცაა: პარტნიორობა მობილურობისათვის, ვიზა ლიერალიზაცია, და ა.შ. 2012 წლის, საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განხორციელებული ხელისუფლების ცვლასთან ერთად, კომისიამ ახალი შემადგენლობით დაიწყო მუშაობა, ხოლო თავად კომისიამ წყვეტის გარეშე გააგრძელა საქმიანობა. იმავე 2012 წლის ოქტომბრის თვეში კი, ევროკავშირის დახმარებით ჩამოყალიბდა კომისიის სამდივნო, რომლის მიზანია კომისიის ტექნიკური და ანალიტიკური მხარდაჭერა. ახალმა შემადგენლობამ სტრატეგიაში მცირე ცვლილებებიშეიტანა, რომელიც

ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით ახლად განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა. 2013 წლის დასაწყისში კი, სტრატეგია დამტკიცდა. იგი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში პირველ დოკუმენტად, რომელიც რეალურად განსაზღვრავს და არეგულირებს მიგრაციულ პროცესებს. ყველა ტიპის მიგრაციის სტრატეგიას გააჩნია თავისი სამოქმედო გეგმა. გამონაკლისი არც ჩვენს შემთხვევაში ყოფილა. აღნიშნული გეგმა ფაქტიურად 2012 წლის განმავლობაში სტრატეგიასთან ერთად მუშავდებოდა. სამ წელზე გათვლილი ეს მოცულობითი დოკუმენტი სტრატეგიის მიღებიდან ორ თვეში დამტკიცდა. მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცებამ დიდი გავლენა იქონია 2013 წელს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გადმოცემაზე.

ორიოდ სიტყვით შევეხები სამოქმედო გეგმის რაობას. ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა შედგება ოთხი ძირითადი ბლოკისგან და ორი – საკანონმდებლო და საინპლემენტაციო ფაზისგან. ამ ოთხი ბლოკიდან ერთ-ერთი ეხება მიგრაციისა და თავშესაფარის საკითხებს. სამოქმედო გეგმის გადმოცემა შეიძლება გაჭიანურებულიყო მეორე ბლოკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წინასწარ შექმნილი ნაყოფიერი ნიადაგის გარეშე. ამისთვის ქვეყანას უნდა ჰყოლოდა მიგრაციის მართვის ხედვა და სათანადო სტრუქტურა,რომელიც სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის მეშვეობით განახორციელებდა საქმიანობას. ამ მიმართებაში ხშირად კეთდება პარალელელები საქართველოსა და მოლდოვას შორის. ორივე ქვეყანა პარტნიორობა მობილურობისათვის ინიციატივის ფარგლებში ერთად გაწევრიანდნენ, თუმცა მოლდოვამ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა 2010 წელს მიიღო, საქართველომ კი, 2013 წელს. ამავდროულად საქართველომგაცილებით უფრო სწრაფად შეძლო გეგმის პირველი ფაზის დახურვა და მეორე საიმპლემენტაციო ფაზაზე გადასვლა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოშიმიგრაციის სფეროში მიმდინარე პროექტების მართვა.. ამ პროცესში ჩართულია, როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. აქვე აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ 2013 წელს კომისიის კარი გაიღო საერთაშორისო და არასმთავრობო ორგანიზაციებისათვის. სამდივნოს წარდგინებით, 7 საერთაშორისო და 5 არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობენ მიენიჭათ საკონსულტაციო სტატუსი. ამრიგად, ისინი გახდნენ უშუალო მოთამაშეები და ადგილზევე აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს სახელმწიფო უწყება, რანაირად გამოიყენება დონორის დახმარება და რას აკეთებენ პარტნიორი ორგანიზაციები. ამის საფუძველზე საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციებს აქვთ საშუალება გააკრიტიკონდა/ან დახმარება გაუწონსახელმწიფო უწყებებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამშიარის ის, რომ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსაქვთ საშუალება თვითონ, პირდაპირ წარადგინონ ინიციატივები კომისიის სხდომებზე . დავუბრუნდეთ პროექტებს. მათ მართვაში იყო პრობლემატური საკითხი, რაც არამარტო საქართველოსთვისაა დამახასიათებელი, არამედ სხვა ქვეყნებშიც თავს იჩენს. ეს არის პროექტების განხორციელებისას არსებული დუბლირებები და გადაფარვები. მაგალითად მიგრაციის სფეროში მიმდინარე ასი პროექტიდან ორმოცდაათამდე აკეთებდა ან ერთმანეთის დუბლირებას, ან ხდებოდა ამ პროექტების მიერ ერთმანეთის გარკვეული გადაფარვა. საბოლოო ჯამში ვიდექით იმ რეალობის წინაშე, როდესაც რამოდენიმე ორგანიზაციას უწევდა ერთი და იგივე საქმის კეთება, ხოლო შედეგობრივად ეს იწვევდა რესურსების ერთი და იგივე მიმართულებით გამოყენებას, რაც შედეგს ეფექტიანობას უკარგავდა. ასევე პრობლემა იყო ისიც, რომ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მოკლებული იყო ინფორმაციას მიმდინარე პროექტებზე, რადგან არ არსებობდა კომუნიკაციის სათანადო მექანიზმები. ეს ჩვენი გადმოსახედიდან იყო პრობლემა. ამიტომაც ჩამოყალიბდა საერთო პლატფორმა, სადაც გაერთიანდნენ როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. პლატფორმის ფარგლებში წელიწადში ორჯერ, პროექტების დასაწყისში და დასასრულს, იმართება საკოორდინაციო შეხვედრები, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა მატრიცა, სადაც აღწერილია, რა პროექტი მიმდინარეობს მიგრაციის სფეროში. კომისიის ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული ამ დოკუმენტის საშუალებით ყველა ორგანიზაციას აქვს საშუალება მოიპოვოს დეტალური ინფორმაცია თავისთვის საინტერესო თემაზე. მატრიცის მთავარი დადებითი მხარე არის ის, რომ ყველა შესაბამისმა სტრუქტურამ იცის, ვინ რას აკეთებს და რა შესაძლებლობებია წარმოდგენილი დონორის მიერ. ინფორმაციის თავმოყრა და სისტემატიზაცია უწყებების მიხედვით ხდება სამდივნოს მიერ. გარდა ამისა, გაადვილდა სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთობა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ნებისმიერ ორგანოს, რომელსაც ჭირდება რაიმე, შეუძლია მიაკითხოს სამდივნოს და ეს უკანასკნელიც კომპეტენტურად გადაამისამართებს მას იმ უწყებასთან, რომელიც დაკავებულია კონკრეტული საქმიანობით. ამგვარად გაადვილდამართვის პროცესი და გაიზარდა მიმდინარე პროექტების ეფექტიანობა, ხოლო გადაფარვები 85% აღმოიფხვრა. ცალკე მიმართულებათ შეგვიძლია გამოვყოთ, კომისიაში ანალიტიკური მიმართულების დანერგვა. ჩვენ გვსურდა, რომ კომისია არ ყოფილიყო მხოლოდ ტექნოკრატიული უწყება, რომელიც კონვეირული მეთოდით მიიღებდა გადაწყვეტილებას.ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი კვლევით, რასაც დაეფუძნება შემდგომი ნაბიჯები. ამ თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა –ა) შეიქმნა მიგრაციის ქართულენოვანი ტერმინოლოგიური ბაზა, რომელიც აქამდე არ არსებობდა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციის ბაზაზე სამდივნოს მიერ მომზადდა მიგრაციის ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, ბ) საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ვრცელდებოდა სხვადასხვაგვარი ბეჭდური ინფორმაცია მიგრაციის საკითხებზე. ხშირ შემთხვევაში ერთიდაიგივე თემაზე გაკეთებული პუბლიკაცია სხვადასხვა ენაზე იყო დაწერილი, რაც მკითხველს აბნევდა და ვერ აწვდიდა ინფორმაციას სრულყოფილად. კომისიის ყველა წევრთან ერთად შევათანხმეთ ეს საკითხი და გამოვეცით ერთიანი გზამკვლევი. დოკუმენტი ორენოვანია დაიძლევა ინფორმაციას პოტენციური ემიგრანტებისთვის და იმიგრანტებისთვის. გ) 2014

წელს გაფორმდა მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტთან მიგრაციის და თავშესაფრის სფეროში კვლევებთან დაკავშირებით, სწორედ ამ დოკუმენტის ფარგლებში დაიწყო მუშობა და კეთდება მიგრაციის სახელმძღვანელო განკუთვნილი სტუდენტებისთვის.
ამავე ბლოკის მიხედვით შემუშავდა საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია, სადაც რეალურად განისაზღვრა ყველა უწყების როლი.კომისიის ფარგლებში გაკეთდა მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომი მარტივი საინფორმაციო ვებ-გვერდი.
საქართველო არ დარჩენილი გლობალური პროცესებს მიღმაც. ქვეყანა აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებში, როგორებიცაა – ბუდაპეშტის პროცესი, პრაღის პროცესი, მიგრაციის და განვითარების გლობალური ფორუმი და მიგრაციის და თავშესაფრის პანელი. კომისიის ფარგლებში გადანაწილდა საპასუხისმგებლო მიმართულებები, სადაც ყველა საკუთარი მიმართულებით მიხედვით ღებულობს მონაწილეობას. დამკვიდრდა შიდა რეპორტინგის მოქნილი სისტემა. ამასთან, სამდივნოში ევროკავშირისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ვენტრის დახმარებით ჩამოვაყალიბეთ ანალიტიკური განყოფილება, რომლის წევრებიც ორი დამოუკიდებელი ექსპერტია. ამჟამად, სამდივნოს კოორდინაციით მუშავდება ორი ახალი დოკუმენტი –2016-2020 წლების მიგრაციის ახალი სტრატეგია და მიგრაციის ახალი პროფილი. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია განსაზღვრულია 2015 წლის ბოლომდე, მისი განახლება შარშან დავიწყეთ, რადგან 2013-14 წლებში ბევრი რამ შეიცვლება და ამიტომაც 2015 წლის ბოლოს გვექნება ახალი სტრატეგია.რაც შეეხება მიგრაციის პროფილს იგი ასახავს ქვეყნებში არსებულ მიგრაციულ პროცესებს, სტატისტიკას, ანალიზს და ა.შ. ახალი პროფილი თავისი წინამორბედისგან განსხვავებით შეიქმნება ახალი მეთოდით.

კითხვა: საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით/სამოქმედო გეგმით დაგეგმილი რეინტეგრაციის კომპონენტის კუთხით რა გაკეთდა და/ან რა ვერ გაკეთდა? რა იყო ამ ყველაფრის შესაძლო მიზეზები?

პასუხი: რეინტეგრაცია არის მოქმედი მიგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთი თემატური მიმართულება. ბუნებრივია, სამოქმედო გეგმაშიც არის გაწერილი აქტივობები, რომელთა შესრულებასაც მონიტორინგს უწევს სამდივნო. რეინტეგრაციის მიმართულებით ძირითად უწყებას წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. დაახლოებით 90% აქტივობებისა ამ სამინისტროზეა მოსული, ამ ეტაპზე აქტივობებზე ჩამორჩენა არ არის.
გარდა ამისა, დავამატებ, რომ რეინტეგრაციის თვალსაზრისით კომისიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური სამუშაო ჯგუფი. მთლიანობაში კომისიაში არსებობს 5 სამუშაო ჯგუფი, ერთ-ერთის კორდინატორია ლტოლვითა სამინისტრო და სწორედ ამ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობს საქმიანობა. ჯგუფის სხდომებს ესწრება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული შეფასებები გააკეთონ.

მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაცია ეხება ევროკავშირში საქართველოდან მიმოსვლას, დიდი ყურადღება ექცევა რეინტეგრაციის საკითხებს. ამ საქმეში კი, არ უნდა მოვიაზროთ მხოლოდ ერთი უწყება, რადგან უამრავი სხვა კომპონენტებია, რაც მოიცავს დასაქმებას, სოციალურსფეროს, საგანმანათლებლო საკითხებს და ა.შ.

კითხვა: საბოლოოდ, დადებითად აფასებთ თუ არა მიგრაციის სფეროში განვითარებულ მოვლენებს?

პასუხი: ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ პერიოდის განმავლობაში.გაქვს ხედვა მიგრაციის სფეროში და დინამიურად ხორციელდება მრავალი საინტერესო პროექტი.ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ კომისიას აქვს კორპორატიული აზროვნების უნარი და ამ საქმეში ჩართულია ყველა მხარე. იმედი მაქვს ასე გაგრძელდება მომავალშიც. მოსამზადებელი კუთხით ბევრი რამ გავიარეთ, მაგრამ ეხლა იწყება გაცილებით უფრო რთული ფაზა, აღსრულების და იმპლემენტაციის თვალსაზრისით.ამაში კი, დიდია არასამთავრობო სექტორის როლი, როგორც კოორდინაციის, ისე ინტელექტუალური დახმარების და კრიტიკის მხრივ.

ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამის ხელმძღვანელთან, ბ/ნ მარკ ჰულსტთან

კითხვა: ბოლო ორი წლის განმავლობაში რაც მთავრობა შეიცვალა, გვაინტერესებს რა იყო თქვენი აზრით მიგრაციის სფეროში ყველაზე დიდი მიღწევა, წავედით თუ არა წინ?

პასუხი: მიღწევა, რა თქმა უნდა, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მიღების საკითხია. ვფიქრობ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია იმ თვალსაზრისით, რომ ადრე აშკარად არ იყო რეგულირებული მიგრაციის პროცესები. ხშირი პრობლემა იყო ადრე სამწუხაროდ, რომ უცხოელი იყო გამოყენებული, როგორც გამოძალვის წყარო. აქ არალეგალურად მყოფი უცხოელის მდგომარეობა როგორ უნდა მოგვარდეს, რომელი სახელმწიფოს უწყება უნდა იყოს ჩართული და როგორ უნდა გადაწყდეს აღნიშნული პრობლემა?ეს საკითხი ახლა უფრო ცალსახადაა გაწერილი. ცვლილებაა ბინადრობის მოწმობის გაცემის თვალსაზრისით, რაც შედარებოთ გამარტივდა, სატრანზიტო პერიოდისთვის მაინც, რაც ლოგიკურია. თვითონ საემიგრაციო პოლიტიკის ბოლო ფაზა არის დაბრუნების ხელშეწყობა. ეს შეიძლება იყოს არალეგალურად მყოფი უცხოელის დაბრუნება, ტერიტორიის დატოვების იძულება, ვინაიდან მას არ ექნება უფლება აქ დარჩეს. ეს ჯერ არ ამოქმედებულა. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული დებატებში, თუ როგორ განახორციელებს ამ რეგულაციებს სახელმწიფო, რაც ურთულეს საკითხს წარმოადგენს, მითუმეტეს თუ უცხოელს არ აქვს სურვილი საქართველოს დატოვების ან სამშობლოში დაბრუნების. ეს რთული საკითხია და ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე დიდი ხანია ვთავაზობთ სახელმწიფოს ნებაყოფლობით დაბრუნების პროგრამას სამშობლოში, ოღონდ ეს უნდა იყოს ნამდვილად ნებაყოფლობითი. სახელმწიფოს გათვალისწინებული აქვს თუნდაც იძულებითი დაბრუნების ღონისძიება რისი გამოცდილებაც არ აქვს, რადგან იძულებით დაბრუნების პრეცენდენტი არ მომხდარა.საბოლოო ჯამში ეს ახალი კანონი არის მნიშვნელოვანი მიღწევა, მაგრამ ვნახოთ ჯერ ბოლომდე თუ იმოქმედებს ისე როგორც გათვალისწინებულია.

კითხვა: თქვენი აზრით, რა ვერ გაკეთდა საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით რაც გაწერილი იყო და რაზე უნდა გაკეთდეს კონკრეტული აქცენტები?

პასუხი:რამოდენიმე სუსტი წეტილი გვაქვს. ერთ-ერთი აქტუალური თემა ესაა შრომითი მიგრაციის რეგულირება. ორივე მიმართულებით, საქართველოს მოქალაქეების დასაქმება საზღვარგარეთ და პირიქით. სახელმწიფოს ხელშეწყობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გულისხმობს თუნდაც ორმხრივ ურთიერთობებს ქვეყნებთან, სადაც არის მოთხოვნა სამუშაო ძალაზე და მეორე საკითხს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, უცხოელების დასაქმების რეგულირება როგორ უნდა განხორციელდეს საქართველოში. აქ არასამთავრობოების მხრიდან არსებობს გარკვეული შენიშვნები და უკმაყოფილება, რაზეც ვფიქრობ ადეკვატურად არ პასუხობს სახელმწიფო. კერძო სექტორის დამოკიდებულება კიდევ უფრო უარყოფითია, რადგან მათ არ აქვთ ინფორმაცია. სწორედ ამიტომაც უნდა დაიწყოს მეტი კომუნიკაციის პროცესი სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, რაც აუცილებელია, სანამ პარლამენტში გახდება დებატების საგანი, რადგან მაშინ უკვე ფაქტიურად დაგვიანებულია. ეს არის ერთი საკითხი რაზეც უნდა გამახვილდეს მეტი ყურადღება, მაგრამ ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა აშკარად ჩანს, მაგალითად შრომითი მიგრაციის რეგულაციის სფეროში. საქართველოში ეს არის პრობლემა. შეიძლება ვცდებით, რადგან ნაკლებად ვართ ჩართულიამ პროცესში, მაგრამ აქ ლეგალურად მყოფ უცხოელთა ინტეგრაცია, მათთვის ვისაც მიღებული აქვს ლტოლვილის სტატუსი იმის გამო, რომ არალეგალურად იმყოფება საქართველოში, არის გაწერილი მიგრაციის სტრატეგიაში და პირდაპირ მითითებულია სახელმწიფო გეგმაში. ეს რთული პროცესია და ითხოვს გარკვეულ ფინანსურ რესურსებს. შეიძლება მსგავსი თემები არაპოპულარული იყოს ზოგადად საქართველოს მოსახლეობასათვის რადგან არ სურთ უცხოელებზე თანხების დახარჯვა, როდესაც საკუთარი მოქალაქეები ცუდ პირობებში არიან,მაგრამ ბალანსი უნდა დავიცვათ. ეს არ არის ადვილი, მაგრამ პოლიტიკა უკვე შემუშავებულია. ყოველ შემთხვევაში, ამაზე პასუხისმგებელი უწყებაა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, თუმცა რამდენად სცალიათ ამისთვის, რამდენად აქვთ უნარი რომ განავითარონ და შეიმუშაონ მაღალი ხარისხის პოლიტიკა, დასავლური ჩარჩო და მიდგომა - ამ მხრივ კითხვის ნიშნები არსებობს.

კითხვა: უფრო ღრმად ჩავალ ამ სტრატეგიაში და აქ ერთ-ერთია ჩვენი დაბრუნებული მოქალაქეების რეინტეგრაციის თემა,ასევე ტრეფიკინგის თემა, ამასთან დაკავშირებით რა კომენტარს გააკეთებდით?

პასუხი: ტრეფიკინგში ცალკე სტრატეგია მოქმედებს, რაც შეეხება რეინტეგრაციას, პროცესი უკვე დაწყებულია. ევროკავშირის დაფინანსებით უკვე გვაქვს რესურსი,პროექტი: „მეტი მეტისათვის“, რომელშიც ჩვენც ვართ ჩართული. მოქმედებს მობილურობის ცენტრი, ასევე 3 ცენტრი ფუნქციონირებს თელავში, ქუთაისში და ბათუმში. ეხლა გამოდის ბროშურა

ამის თაობაზე, რომელშიც მოცემულია ჩვენს მიერ შემუშავებული მასალა.
წელს პირველად ჩვენს ისტორიაში გაგვიჩნდა რეინტეგრაციაზე ორიენტირებული საბიუჯეტო სახსრები, 400 000 ლარის ფარგლებში, რომელიც უნდა დაიხარჯოს სპეციფიურად დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. მე ვთვლი, რომ ეს არის წინსვლა. სამინისტროსთვის რთულია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც გააკონტროლებს ამ თანხს მიზანშეწონილად და მიზნობრივად ხარჯვის პროცესს, მაგრამ ამ პროცესში ჩართულია არასამთავრობოები და საერთაშორისო ორგანიზაციებიც, თუმცა ისინი არ ასრულებენ სახელმწიფოს მოვალეობას. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ და მივცეთ რჩევა, მაგრამ შესრულება უკვე მათი პრერეროგატივაა.
კითხვა: სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან გაკეთდა შეფასება, რომ მიგრაციის სტრატეგია (სამოქმედო) გეგმით გაწერილი აქტივობების უმეტესი ნაწილი შესრულდა, ამაზე რას გვეტყვით?
პასუხი: ამ შეფასებაზე შედავება ცოტა რთულია, რადგან რამდენადაც ვიცი იქ რიცხვობრივი ინდიკატორი არ არის მითითებული და გაუგებარია რასთან შედარებით გულისხმობენ. მოქმედი სტრატეგიით სამოქმედი გეგმის ეს ბოლო წელია . ამიტომაც საინტერესო იქნება რა ახალი სტრატეგია და სამუშაო გეგმა შემუშავდება მომავალი წლის შემდგომ. მე ვფიქრობ ზუსტად ინდიკატორებზე უნდა იმუშაონ, რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმა და რამდენად კარგად იმუშავა პაუსხისმგებელმა სამინისტრო უწყებამ, ისინი ხშირად ამბობენ, რომ ყველაფერი შესრულდა, მაგრამ რა აძლევთ ამის თქმის საფუძველს?! ამ მხრივ სასურველი იქნებოდა მეტი თვითკრიტიკა. ყოველთვის ვსაუბრობ ინდიკატორების თემაზე, რაც ადრე არსებობდა გარკვეული დროის პერიოდში ტრეფიკინგის სამოქმედო გეგმის სფეროში, თუმცა რამდენად სრულდებოდა ეს უკვე სხვა საკითხია. მიუხედავად ყველაფრისა ინდიკატორები არსებობს და ჩვენ ვლობირებთ იმას, რომ ინდიკატორები იყოს რიცხობრივი და არა ზოგადი ინდიკატორი, რომლის გამოყენებაც გაუგებრობებს წარმოშობს, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესრულდა ესა თუ ის კონკრეტული მოვალეობა. სტრატეგიაზე არ მაქვს საუბარი, სტრატეგია არის უფრო ზოგადი ჩარჩო, თუმცა იქაც არის სისუსტეები. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია შრომითი მიგრაციის ორგანიზება, ეს აშკარად სუსტი წერტილია საქართველოსთვის.
ზოგადად, ალბათ კარგი იქნება საყოველთაო ჩართულობა არალეგალურად მყოფი მიგრანტების დაბრუნების საკითხში, თუნდაც მონიტორინგის თვალსაზრისით. ჩვენ ისევ ვიქნებით ამ პროცესებში ჩართულნი, რამდენადაც მოვახერხებთ ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რაიმე სახით შეიქმნას მონიტორინგის მექანიზმი, თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ევროკავშირის გრანტების საშუალებით, რადგან ურთულესი საკითხია ნებაყოფილობითი დაბრუნების ხელშეყობა, რაზეც ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ. ჯამში დაფიქსირებულია 160 პიროვნება, ეს არ არის დიდი რიცხვი და მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც ბრუნდებიან აფრიკაში და აზიაში, სხვა ქვეყნების წარმომადგენლები არ გვყავს. თუ პირს აქვს სურვილი, რომ დაბრუნდეს სამშობლოში და არ არის ამის პერსპექტივა, მაგალითად სირია-ერაყიის ტერიტორიაზე და სხვა პრობლემურ ქვეყნები, მაშინ რას მოიმოქმედებს სახელმწიფო?! მუდმივად ეყოლება დაკავების ცენტრში? ეს გამორიცხულია, რადგან დაკავების ვადებს გარკვეული ლიმიტები აქვს. წარმოიდგინეთ, რომ პირი იმყოფება საქართველოში 3 თვის განმავლობაში დაკავების ცენტრში, აღნიშნული პერიოდის შემდეგ იგი კვლავ აგრძელებს იქ ყოფნას, რადგან სხვა გზა არ გააჩნია და იგი კვლავ ითვლება არალეგალურად მყოფად. შეიძლება ხელმეორედ მოხდეს მისი განთავსება დაკავების ცენტრში. ითვალისწინებს კი ამას კანონი, რომ მოხდეს მისი რამდენჯერმე დაკავება და რას გააკეთებს შემდგომში სახელმწიფო? მსგავსი სახის პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას და ამის მოგვარება არის რთული. ჩვენ ერთი მიგრანტისგან გავიგეთ, რომ გააჩერეს ქუჩაში და როდესაც ნახეს, რომ ვიზა არ ჰქონდა, მოთხოვეს ქვეყნის დატოვება და დაემუქრნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში მოხვდებოდა. ხვდებით ალბათ, რომ აფრიკელმა არ იცის ქართული კარგად და მოთხოვნის შინაარსი ვერ გაიგო მაგრამ აქ პოლიციელის დამოკიდებულებაც საყურადღებოა. რამდენად შეუძლიათ პოლიციის თანამშრომლებს ნორმალური კომუნიკაცია დაამყაროს უცხოელებთან.
კითხვა: საინტერესოა რაში გამოიხატება სახელმწიფოს როლი ამ მიმართულებით? და ინფორმირებულნი არიან თუ არა უცხოელები კანონმდებლობაში განხორციელებულ ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით?
პასუხი: სახელმწიფო ამბობს ერთს რომ ინტერნეტში დევს და იუსტიციის სახლებში ხელმისაწვდომია ეს ინფორმაცია, საჭიროა დადგინდეს იმ პირთა ინფორმირებულობის დონე, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას უცხოელებს. ენის ბარიერია ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი. კეთდება და რიგდება ბროშურები უცხოელებისთვის. გაჩნდა ახალი პორტალი www.geoconsul.gov.ge რომელიც შეიქმნა რამოდენიმე თვის წინ, თუმცა ახალი მოვლენების განვითარებასთან ერთად ამ ბროშურამ რელევანტურობა დაკარგა, თუმცა ეს სხვა საკითხია. საჯარო მოხელეების ნათქვამიდან გამომდინარე, ეფექტური იქნებოდა ინფორმაცია მივაწოდოთ კონკრეტულ საელჩოებს როცა რაიმე ცვლილება შევა კანონმდებლობაში.
კითხვა: საინტერესოა ქართველებისთვის თუ კეთდება არალეგალურ მიგრაციაზე ინფორმაციის მიწოდება? ხომ არ თვლით, რომ გადინება არაინფორმირებულობის მიზეზით არის გამოწვეული?
პასუხი: სახელმწიფო ძირითადათ დამოკიდებული არის არასამთავრობო ორგანიზაციებზე ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რადგან თვითონ შესაბამისი ფინანსური სახსრები არ გააჩნია. დაახლოებით წელიწადში ერთხელ ან ორჯერ აქტიურად რიგდება ბროშურები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ტრეფიკინგი და სხვა მიგრაციის პრობლემები, თუმცა ტირაჟია შედარებით შეზღუდული, შესაბამისად შეიძლება 6 თვის განმავლობაში რიგდებოდეს, მაგრამ მერე ფიზიკურად აღარ იშოვება. ამ მხრივ რაღაცას აკეთებს სახელმწიფო, თუმცა რამდენად საკმარისია ეს ერთი საქმეა და რამდენად სურს მოსახლეობას რამე გაიგოს ამის შესახებ ეს მეორე. ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენი ორგანიზაციაც არის ჩართული მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების პროცესში.
კითხვა: თქვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს დაბრუნებისკენ და რეინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკა?
პასუხი: დიახ და რაც მთავარია, შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი არის უმუშევრობა. სოფლებში არის რიგი პრობლემები, რაც მოგვარებადია სახელმწიფოს მუშაობის შედეგად.

ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილესთან ბ/ნ პაატა ბელთაძესთან

კითხვა: თქვენი აზრით, რა მიღწევებია და რა ხარვეზები იყო უშუალოდ მიგრაციის სტრატეგიასთან და მის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული? ასევე საინტერესოა თქვენი რეკომენდაციები.

პასუხი: რადგან ჩვენი ოფისი ამ მიმართულებით რეალურად ახლა იწყებს მუშაობის გაძლიერებას მე, როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენელს, შემიძლია ჩემი პირადი მოსაზრებები გითხრათ. აქ საუბრია იმ ქართველ მიგრანტებზე, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, თქვენ ამ პროექტს გულისხმობთ?

–––ჩვენი პროექტი ერთმნიშვნელოვნად ქართველებზეა: დაბრუნებაზე, რეინტერგაციის პროცესებზე, გადამისამართებაზე და ა.შ.

პასუხი: მე, როგორც თავის დროზე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, კონცეფციებში მონაწილეობას ვიღებდი. ჩემი შეხედულებით, სახელმწიფო პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მიგრაციის სამთავრობო კომისია, მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების განხილვა ამ კომისიის ფარგლებში, მე ვფიქრობ რომ უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებული დამოკიდებულება უნდა ქონდეს სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ. რას ვგულისხმობ ამასთან დაკავშირებით? პირველი, ვგულისხმობ იმას, რომ უნდა არსებობდეს მათი რეინტეგრაციისა და უკან დაბრუნების შემდგომ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ღირსეულ რეინტეგრაციას საზოგადოებაში. ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციების არაგანგრძობით პროექტებზე დაფუძნებული, მათ შორის IOM, რომელიც არის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში. ასევე არსებობს რამდენიმე ცენტრი. როგორც მე ვიცი არსებობს ვიდეოპორტალი, რომელიც საშუალებას იძლევა სრული და ამომწურავი ინფორმაცია ქონდეს მიგრანტს. მე ვფიქრობ, შესაძლებელი არის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უფრო მეტად გააქტიუროს თუნდაც თავისი საკონსულო დეპარტამენტების, საელჩოების მუშაობა ადგილებზე სწორედ მიგრანტთა ერთი მხრივ სამართლებრივი დახმარების, უკან დაბრუნების შემთხვევაში მათთვის სრული ინფორმაციის მისაწოდებლად თუ რა პროცესებია საქართველოში ზოგადად, რომ ბევრი მიგრანტი, რომელიც უკან ბრუნდება, გარკვეულწილად მომზადებული იყოს და იცოდეს თუ რა გამოწვევები შეიძლება დახვდეს მას აქ. ამ მიმართულებით, ჩემი ღრმა წარმოდგენით საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი უნდა იყოს კიდევ უფრო მეტად გამოკვეთილი ვიდრე იგი დღეს არის. თავის დროზე საუბარი მიდიოდა და დღეს შეჩერებულია ეს პროცესი, რომ ჩვენ საელჩოს ისეთ ქვეყნებში სადაც კომპაქტურად ბევრი ქართველია თავმოყრილი, ყავდეს ასევე შრომითი ატაშეები. ეს არის მნიშვნელოვანი საიმისოდ, რომ შრომითი ატაშე ერთი მხრივ მიგრანტს მიაწვდის ინფორმაციას ამ შემთხვევაში ადგილსამყოფელ ქვეყნებში რა შრომითი უფლებები აქვთ იმიტომ რომ, ხშირად, არაინფორმირებულება არის სწორედ ერთ-ერთი გამოწვევა რომელიც მიგრანტებს გააჩნიათ. ამავდროულად, მე ვფიქრობ, რომ უნდა არსებობდეს უფრო მეტი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც განახორციელებს დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომელიც უშუალო შემხებლობებშია დიასპორებთან. მე რამდენადაც ვიცი ამჟამად აქვთ საინფორმაციო ბანკი, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია სათვისტომოების შესახებ, ქართველი მიგრანტების შესახებ და გარკვეულწილად სამართლებრივი კავშირი ამ მიგრანტებს რაც აქვთ დღეს იმაზე მეტი უნდა ქონდეთ, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში ისინი უფრო მომზადებული იყვნენ და უფრო მეტად ღირსეული რეინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში, ვინაიდან, ჩვენ თუ ვსაუბრობთ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებაზე ჩვენ საზოგადოებაში, ჩვენ თუ ვსაუბრობთ ევროპული გამოცდილების ტრანსფორმაციაზე საქართველოში, მიგრანტებს, სწორედ ღირსეულად რეინტეგრაციაგავლილ მიგრანტებს შეუძლიათ ითამაშონ ძალიან დიდი როლი და ამაში სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი. სახელმწიფო კომისია, მე სიმართლე გითხრათ... კი, პროცესები მიმდინარეობს, არის მიგრაციის მართვის სტრატეგია შემუშავებული, მაგრამ მე ვფიქრობ ამ სტრატეგიაში ინდიკატორები უნდა იყოს უფრო ნათელი და გაზომვადი, რამდენად არის მიღწევადი ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგები. ასევე მას უნდა ქონდეს ამ სტრატეგიის განხორციელების კონკრეტული ფინანსური მხარდაჭერა და ბიუჯეტი, რომელიც გარკვეული აქტივობებისა და ამ სამოქმედო გეგმის განხორციელებას შეუწყობდა ხელს და უნდა იყოს უფრო რეალისტური. შეიძლება იყოს ნაკლებ ამბიციური და მეტად რეალისტური, ვიდრე ის დღეს არის და ეს უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე გქონდეს გაწერილი ძალიან ბევრი დახმარება, რეინტეგრაციის ხელშეწყობა და რეალურად ვერ ხორციელდებოდეს. ძალიან ფართო და ყოვლისმომცველია [სტრატეგია]. ასევე მეორე მომენტია, რამდენად ხორციელდება, ანუ ვინ ახორციელებს მონიტორინგს, არსებობს თუ არა მიგრაციის სტრატეგიის მონიტორინგი და

შემფასებელი. ეს, რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს რადგან ეს არის სამთავრობო კომისია და გარკვეული მონიტორინგის მექანიზმი უნდა არსებობდეს, რომ ჩვენ დავინახოთ რამდენად ეფექტურად ხორციელდება. მე ვფიქრობ, რომ ამ მიგრანტების ღირსეულ რეინტეგრაციას ასევე ხელს შეუწყობს თუ ქართველი მიგრანტების უფლებები მიმღებ ქვეყნებშიც იქნება სათანადოდ დაცული და როგორც უკვე ვახსენე, აქ არის როლი საგარეო საქმეთა სამინისტროსი. როდესაც შრომით მიგრანტებზე ვსაუბრობთ აქ შეიძლება იყოს პროფ. კავშირების როლი, იმიტომ, რომ პროფ. კავშირების გაერთიანებას აქვს საქართველოში სხვა ეროვნულ ინსტიტუტებთან კავშირი, როგორც ჩვენთვის ასევე ცნობილია პროფ. კავშირები არის წევრი სხვა საერთაშორისო პროფ. კავშირებისა: ევროპის პროფ. კავშრების კონფედერაცია, მსოფლიო პროფ. კავშირების კონფედერაცია. მე ასევე ვიცი რამდენიმე წარმატებული მაგალითი პროფ. კავშირებს აქვთ, როდესაც მაგალითად პოლონეთში, ისრაელსა და თურქეთში გარკვეული სამუშაოს განხორციელების შემდგომ არ მოხდა ანაზღაურება დამსაქმებლების მხრიდან და პროფ. კავშირების ჩარევის შედეგად საქართველოდან მოხდა ამის გამოსწორება. დიასპორასაც დიდი როლი აქვს. შეიძლება ომბუდსმენსაც ქონდეს, იმიტომ რომ ჩვენ გვაქ შემთხვევები, როდესაც უცხოელი მოქალაქეები მოგვმართავენ თუნდაც მიმღებ ქვეყნებში სამართალდამცავი ორგანოების ან სხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან მათი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. მახსენდება აზერბაიჯანი, თურქეთი უკრაინა, ინგლისიც. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ერთი მხრივ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ვაცნობოთ ამის თაობაზე, და არის შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველი იმ მიმღები ქვეყნის ომბუდსმენს მიმართავს თხოვნით, რომ მოხდეს ამ პირების დახმარება. დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომელიც სათვისტომოებთან ურთიერთობაშია, პროფ. კავშირი, რომელსაც შეუძლია შრომითი უფლებების კუთხით ადგილობრივ მიმღები ქვეყნის პროფ. კავშირებთან ურთიერთობა ქონდეს, რა თქმა უნდა საგარეო საქმეთა სამინისტრო და საკონსულოები და სახალხო დამცველი. მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი იდეა იქნებოდა რომ ეს ოთხი უწყება შეიკრიბოს. ჩვენ გვქონდა მცდელობები და შემდეგ ეს გადაიდო, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ რომ, იდენტიფიცირებული იქნეს ამ ქართველი მიგრანტების წინაშე არსებული პრობლემები და სახელმწიფომ, მისმა სხვა და სხვა ინსტიტუციებმა იფიქრონ როგორ დაეხმარონ მათ. კიდევ ერთხელ გავმეორებ, რომ რა მიგრაციის იდეალური პოლიტიკაც არ უნდა შეიქმნას ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის მიგრანტი, რომელიც უკან ბრუნდება, როგორ ბრუნდება. რა მატერიალური რესურსები გააჩნია? მიგრანტებიც უნდა დაიყვნენ კატეგორიებად. არიან რეადმისიებულები, არიან დეპორტირებულები, არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც გარკვეული მცირე კაპიტალი შექმნეს და სურთ რომ მცირე ბიზნესი განავითაროონ. კითხვები უნდა დავსვათ, არსებობს თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ამ ადამიანებისა სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია? და მე როგორც ვიცი ასე კატეგორიებად დაყოფილი და ეს მიდგომები შემუშავებული არი არის და შეიძლება ითქვას ყველა ერთ ქვაბშია. რეინტეგრაცია ძალიან ფართო ცნებაა და ის სუბიექტები, რომლებიც შეიძლება რეინტეგრაციას დავუქვემდებაროთ სხვა და სხვა იყოს. ეს არის ჩემი პირდი შეხედულება ამ ეტაპზე რა შეიძლება გაკეთდეს.

კითხვა: საქართველოს მიგრაციის სტრატეგია, როგორც იცით უცხოელებსაც ეხებათ. ომბუდსმენის ოფისიდან რამდენად არის მათი უფლებები დაცული?

პასუხი: უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას რაც შეეხება, ომბუდსმენს ამ ეტაპამდე დიდი გამოცდილება ამ მიმართულებით არ ჰქონია. და არ იქნება სწორი, რომ ვთქვათ რომ დღესაც მომართვიანობის მაღალი სტატისტიკა გვაქ. საინტერესო არის ის, რომ სწორედ იანვრის თვიდან ჩვენ დავიწყეთ პროექტის განხორციელება. ეს არის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, რომელიც ითვლისწინებს სწორედ მიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის კუთხით სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერებას. ეს მოიცავს, როგორც შრომით მიგრანტებს, თავშესაფრის მაძიებელ პირებს, ლტოლვილის სტატუსის მაძიებელ პირებს ანუ ფაქტიურად უცხოელს, რომელიც საქართველოში სხვა და სხვა სტატუსით შეიძლება შემოდიოდეს. ეს მოიცავს ასევე თავშესაფრების მონიტორინგს. ჩვენ ვფიქრობთ ეს არის ძალიან საინტერესო პროექტი და მოიცავს იმ აქტივობებსაც რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ, რომ უფრო მეტი იყოს მომართვიანობა და სახალხო დამცველის ოფისმა ასევე ყურადღება გაამახვილოს.

------ მე რამდენადაც მახსოვს ძველ სტრატეგიაში არ იდო თქვენი ეს უფლებამოსილებები, უბრალოდ ეს თქვენი ინიციატივა იყო.

პასუხი: არ იდო, მაგრამ თუკი ქვეყანაში პირი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შესაძლოა დაექვემდებაროს უსამართლო მოპყრობას, დაირღვეს მისი უფლებები რა თქმა უნდა სახალხო დამცველი ვალდებულია და ჩვენი მანდატი გვავალდებულებს, რომ ამ პირების მიმართაც განვახორციელოთ ჩვენი დახმარება. როგორც უკვე ავღნიშნე დიდი პრაქტიკა ამისი არ არსებობდა, ჩვენ რამდენიმე მსგავსი შემთხვევა გაგვაჩნია, მომართვიანობაც ძალიან დაბალია, მაგრამ როგორც ვახსენე ეს პროექტი უკვე დაფინანსებულია. ჩვენ გვყავს ერთი პირი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დეპარტამენტთან, რომელიც უშალოდ ამ მიმართულებით იმუშავებს და რა თქმა უნდა უფრო მეტად გამოიკვეთება ჩვენი ფუნქციები. მათ შორის მეტად ვიქნებით ჩართულები მიგრანტთა სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში.

კითხვა: ანუ 2016-2020 წლის საქართველოს მიგრაციის სტრატეგიაში ჩაერთვება სახალხო დამცველის ოფისი და როგორც ვიცი მიმდინარეობს ამაზე მუშაობა.

პასუხი: დიახ, უფრო მეტად ჩაერთვება. ალბათ თქვენც იცით, რომ მიგრაციის შესახებ კანონი ამოქმედდა, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონი და შემდეგ მასში ცვლილებებიც შევიდა, რომელთა მიმართებაშიც ჩვენ ძალიან ბევრი წინადადება წარვადგინეთ და მათ შორის მნიშვნელოვანი იყო, როდესაც ადამიანს ბინადრობის უფლების გაცემაზე, ქვეყანაში შემოსვლისას ვიზის გაცემაზე უარს ეუბნებოდნენ, პასუხი ბლანკეტურად იყო გაცემული იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო

ინტერვიუ

უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე. თითეულ ადამიანს აქვს უფლება იცოდეს თუ რატომ ეუბნებიან უარს. ეს რა თქმა უნდა ზღუდავს გადაადგილების თავისუფლებას, საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან პრინციპებს და ასევე შემოსული მიგრანტებისთვის სამართლებრივი დახმარება, რომელიც სახელმწიფომ უნდა იტვირთოს. იგივე უფასო იურიდიული დახმარების სეგმენტის მეტად გავრცელება ამ ადამიანებისთვის. სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ მოხვდა ამ უფასო იურიდიულ დამხარების საქმეების გაფართოებულ ჩამონათვალში კანონი ლტოლვილთა შესახებ, და ჩვენ ამის ლობირებას ვაპირებთ, რომ ეს კანონიც აუცილებლად იყოს. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი შენიშვნა ის იყო, რომ პირს უნდა შეეძლოს მის მიმართ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრება. აღნიშნული ჩანაწერი გასაჩივრების შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებს, უფლება სამართლიან სასამართლოზე ეზღუდება ამ პირებსაც. ეს იყოს ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი ჩვენ მიერ გამოთქნულ შენიშვნებში, რომელიც გამოსწორებას საჭიროებდა.

კითხვა: ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, კანონპროექტი შრომითი მიგრაციის შესახებ თქვენთან იყო გადმოგზავნილი. ჩართული იყავით თუ არა პროცესებში და გათვალისწინებულ იქნა თუ არა თქვენი შენიშვნები?

პასუხი: ჩვენ ჩართულები ვიყავით. სწორედ დღეს მივდივარ გადაცემაში სტუმრად, რომელიც უკავშირდება შრომის ინსპექციის შექმნას. შრომით ინსეპქციასთან არის შრომითი მიგრაცია. ჩვენ ჩართულები ვიყავით, მაგრამ ეს კანონი ჯერჯერობით განხილვის პროცესშია. დარეგისტრირებული არ არის, შეტანილია ბიუროში, ამას თავისი პროცედურები აქვს. მე არ ვიცნობ კანონის თითეულ დეტალს, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ამ მიგრაციის კანონს უნდა შემოეღო შრომის ინსპექცია, რომელიც მნიშნელოვანი იქნებოდა მიგრანტთა შრომითი უფლებების დასაცავად. ჩვენ ამ ეტაპზე გვყავს ასევე საპარლამენტო მდივანი და სახალხო დამცველის კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა გაცილებით მაღალია ვიდრე ოდესმე იყო. რა თქმა უნდა, გვექნება ამ მიმართულებითაც საუბარი, ამ მიმართულებითაც აქტიურად ვიქნებით ჩართულები. ასევე ვიზა ლიბერლიზაცია, ევროპასთან ასოცირების შეთანხმება და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებაც ითვალისწინებს, რომ შრომის ბაზარი იყოს მეტად რეგულირებული ვიდრე ის ამჯერად არის. თუნდაც უცხოელებთან და შრომით მიგრანტებთან მიმართებაში. ვინაიდან საქართველო არის, როგორც მიმღები, ასევე ტრანზიტი ქვეყანა და აქედან გამომდინარე გარკვეული ვალდებულება ჩვენც გვაქს, იმიტომ, რომ ეს არის ერთი მთლიანი, შემადგენელი ნაწილი ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების კუთხით და ეს ისე არ უნდა იქნას გაკეთებული, რომ ადამიანებს, უცხოელებს შეეზღუდოთ გადაადგილება. ეს უნდა იყოს ამ ქვეყნებში არსებული გამოცდილების მიხედვით გაკეთებული. ვნახოთ, ჯერ ჩვენ ოფიციალურად არ მიგვიღია კანონი ამდენად მე გამიჭირდება მისი შეფასება, მაგრამ მას შემდეგ რაც ჩვენთან იქნება გადმოგზავნილი ჩვენ სამართლებრივ დასკვნებს მივაწვდით აუცილებლად.

ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელთან ქ/ნ თამთა კუპატაძესთან

კითხვა: თქვენი აზრით, ბოლო ორი წლის განმავლობაში რაც იყო დაგეგმილი საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით (ასევე სამოქმედო გეგმით) შესრულდა თუ არა? თუ არ შესრულდა რა ნაწილში ვერ შესრულდა და რაზე უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტები სამომავლოდ?
პასუხი: მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველო აქტიურად მუშაობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მიგრაციის სტრატეგიითა და სამოქმედო გემით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების კუთხით. ამჟამად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროექტი. დღეის მონაცემებით ცენტრს მომართა 1000-ზე მეტმა დაბრუნებულმა მიგრანტმა დახმარების მიღების მიზნით, რაც გულისხმობს, მცირე ბიზნეს გრანტის გაცემას, პროფესიული გადამზადების კურსების დაფინანსებას, მედიკამენტებითა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას. შეიქმნა მობილურობის ცენტრის სამი დამატებითი ფილიალი: ქუთაისში, ბათუმსა და თელავში. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სარეინტეგრაციო საკითხების კონსოლიდაციის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ხორციელდება შეხვედრები მიგრაციის კუთხით მომუშვე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველო მობილურობის ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობით, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, უსაფრთხო მიგრაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრებს ახორციელებს.
ჯერ-ჯერობით არ ამოქმედებულა მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათავლისწინებული იმიგრაციის მონაცემთა ერთიანი სისტემა ეროვნულ დონეზე და არ განახლებულა რეინტეგრაციის გზამკვლევი.
კითხვა: რას ჩათვლიდით დიდ მიღწევად მიგრაციის სფეროში ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე?
პასუხი: საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების ღირსეული რეინტეგრაციის მხარდაჭერა, რაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი კომპეტენციაა. პირველად სამინისტროს არსებობის ისტორიაში, არალეგალური გზებით დაბრუნებული მიგრანტების ემიგრაციაში განმეორებით გამგზავრების პრევენციის მიზნით, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციაზე ორიენტირებული პროგრამა შემუშავდა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია. სამინისტროს მიერ გასაცემი თანხის მოცულობა შეადგენს 340 000 ლარს, რომლის ფარგლებშიც გაიცემა 12 გრანტი.
კითხვა: საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით (სამოქმედო გეგმით) გაწერილი რეინტეგრაციის კომპონენტში დიდი როლი ეკისრებოდა თქვენს სამინისტროს, მოხდა თუ არა აღნიშნული კომპონენტის შესრულება გეგმის მიხედვით და რა ეტაპზეა აღნიშნული პროგრამა ამ დროისთვის?
პასუხი: როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მობილურობის ცენტრებთან დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის კუთხით იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რაც სამოქმედო გეგმითაა გაწერილი. ამასთანავე სამინისტრო დამოუკიდებლად იწყებს სარეინტეგრაციო პროგრამის განხორციელებას. ამჟამად გამოცხადებულია საგრანტო კონკურსი 12 მიმართულებით, საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირების ან მათი ფილიალებისათვის, რომელნიც დააკმაყოფილებენ საგრანტო პროგრამის მოთხოვნებს.